საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 273/02-04
15.03.2024

273-02-04-4-202403151530

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტის სოფიო დავითაშვილისათვის პროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ" ,,ო" და ,,პ" ქვეპუნქტების, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 14.08.2020 წ. N154/01-01 და 16.02.2024წ. N36/01-01 ბრძანებების, მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის 13.03.2024წ. N1 სხდომის ოქმის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის გიორგი ღაღანიძის 13.03.2024წ. N7023/29 წერილის საფუძელზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაენიშნოს, 2024 წლის 13 მარტიდან 2024 წლის 13 აგვისტომდე, პროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდია, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტს სოფიო დავითაშვილს (პ/ნ 59001118582) 1250 ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს, გასცეს ყოველი თვის ბოლოს 250 ლარი, უნივერსიტეტის ანგარიშზე ამ მიზნისათვის ჩამორიცხული თანხიდან.
3. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი).
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail